ა ნ გ ა რ ი შ ი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 238934, მათ შორის: ქ. თბილისში - 100710(42,2%), სამეგრელო- ზემო სვანეთში -87774(36,7%), იმერეთში - 26208(11%), აჭარაში - 6856(3%), რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთში - 793(0,3%), გურიაში - 519(0,2%), ქვემო ქართლში - 9445(3,9%), შიდა ქართლში - 2226 (0,9%) კახეთში - 1220(0,5%) სამცხე ჯავახეთში - 2273(0,9%) . *დანართი № 1*

აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დევნილების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ქ. სოხუმი - 46462 (19,4%), ქ. ტყვარჩელი - 2779(1,2%) , ქ.გაგრის ზონა - 18510 (7,7%), გუდაუთის რაიონი - 4675 (20%), სოხუმის რაიონი - 20076 (8,4%), გულრიფშის რაიონი - 33054 (13,8%), ოჩამჩირის რაიონი - 34700 (14,5%), გალის რაიონი 78678 (33%). სრულად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №2-ში*

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულებით და წლიური სამოქმედო გეგმით, რომელშიც, საჭიროებისამებრ, ყოველკვარტალურად შეგვაქვს შესაბამისი კორექტირებები. მისი მუშაობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო თუ არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, დროებითი საცხოვრებელი ფართობების რეაბილიტაციაში კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა, უცხოეთიდან დაბრუნებულ აფხაზეთის მკვიდრთათვის დევნილის სტატუსის აღდგენა-მინიჭებაში ხელშეწყობა, დევნილების მოქალაქეობრივი ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა, დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით წყაროების მოძიება, მოპოვებული რესურსების დევნილებზე განაწილება და მათთვის ადგილზე მიწოდება. აგრეთვე, აფხაზეთის მთავრობისა და მის შემადგენლობაში შემავალი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ. გარდა ამისა, დეპარტამენტს აკისრია შემდეგი ფუნქციები:

- ახორციელებს ზედამხედველობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონალურ წარმომადგენლობებზე (სულ 4 დაწესებულება), მართავს და მონიტორინგს უწევს მათ მიერ გაწეულ მუშაობას;
- აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებთან კოორდინაციითა და ერთობლივი მუშაობით დევნილთა პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაციის გაანალიზება და პრობლემების გადაჭრისათვის უცილებელი წინადადებების შემუშავება;
- დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების საქმიანობის მონიტორინგი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შიდა მიგრაციის თაობაზე ინფორმაციის მოძიება და მონაცემთა სრული კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფა და სხვა.

დებულების შესაბამისად დეპარტამენტში დამტკიცებულია 46 საშტატო ერთეული, რომელიც დღეისათვის სრულად დაკომპლექტებულია. დაწესებულებას მართავს დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს 2 მოადგილე და 3 მრჩეველი.

ძირითადი მიმართულებებიდან და განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად დეპარტამენტში ფუნქციონირებს 5 სტრუქტურული შენაერთი (სამმართველო-1, განყოფილება-4), რომელთა ფუნქციები გაწერილია დეპარტამენტის დებულებაში. სტრუქტურული შენაერთების გამართული, ეფექტური და კოორდინირებული მუშაობის განსახორციელებლად,

ასევე გაცემულ დავალებებზე კონტროლის გასაწევად დეპარტამენტს ყავს აპარატის უფროსი და მისი მოადგილე, რომლებიც არიან დეპარტამენტის თავმჯდომარის უშუალო დაქვემდებარებაში.

უწყების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი, რომელსაც ყავს 2 მოადგილე. სამივე არის დეპარტამენტის თავმჯდომარის დაქვემდებარებაში.

ასევე, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, დეპარტამენტში დასაქმებულია 11 თანამშრომელი (მათ შორის, 2 მძღოლი, 1 დამლაგებელი), რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გაწერილ დავალებებსა და დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გაცემულ კონკრეტულ დავალებებს.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის საქმიანობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყო საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი. დეპარტამენტის მონაწილეობით დევნილთა მიმართ 2016 წელს გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალში აღსანიშნავია შემდეგი:

- 2016 წლის 3 იანვარს ქ. რუსთავში მშენებლის №46 ყოფილ ვენდისპანსერის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულ 100 წელს გადაცილებულ დევნილ ქალბატონს გადაეცა საშობაო საჩუქარი;

- 2016 წლის 4 იანვარს ქ. რუსთავში ვახუშტის № 8 განსახლებულ დევნილ ოჯახებს დეპარტამენტისა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა აქციის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში საშობაო ნობათი გადასცეს;

- 2016 წლის 01 თებერვალს დეპარტამენტის თავმჯდომარე და სხვა პასუხისმგებელი პირები მივლინებით იმყოფებოდნენ ქ. ქუთაისში, სადაც სამუშაო შეხვედრაზე მოისმინეს აფხაზეთის მთავრობის რეგიონალური წარმომადგენლობის ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, განიხილეს პროექტი წარმომადგენლობის სამსახურეობრივი საქმიანობის ორგანიზებაში ახალი მიდგომების დანერგვის შესახებ, შემდგომ კი რეგიონში მცხოვრებ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანს, პირველი ჯგუფის ინვალიდს აფხაზეთიდან დევნილ მ. მიშველაძეს გადასცეს ინვალიდის ეტლი;

- 2016 წლის 11 თებერვალს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა გამოაცხადა და 04 მარტს დაასრულა კონკურსი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე. ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი წარედგინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, რომელმაც ის თანამდებობაზე დანიშნა ;

- 2016 წლის 17 თებერვალს დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტისა და აფხაზეთის მთავრობის რეგიონალური წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკები დაესწრნენ ქ. ქუთაისში მოქმედ მულტიპროფილურ ჰოსპიტალ ,,მედიქალსიტში“ გამართულ შეხვედრას, სადაც მადლობა გამოუცხადეს დაწესებულების პერსონალს დევნილებისათვის გაწეული კვალიფიციური მომსახურებისა და გულისხმიერებისათვის. ბოლოს კი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. ხეცურიანმა ჰოსპიტლის ხელმძღვანელს გადასცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი;

- 2016 წლის 14 მარტს დეპარტამენტის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი პირები დელეგაციასთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ყოლბაია, იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოში (სამტრედია, ზესტაფონი, აბაშა, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი და სხვა), სადაც გამართეს შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთან, ჩააბარეს ანგარიში 2015 წელს მთავრობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, გააცნეს მათ 2016 წლის სამუშაო გეგმა, დაგეგმილი დარგობრივი პროექტები და გასატარებელი ღონისძიებები. აგრეთვე დელეგაციის წევრებმა მოისმინეს დევნილ მოსახლეობაში არსებული აქტუალური პრობლემები და აღუთქვეს დევნილებს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან აქტიური მუშაობის მეშვეობით არსებული პრობლემების მოგვარება. ქ. ბათუმში ყოფნისას დელეგაციის წევრები დაესწრნენ ევროკავშირის ხელშეწყობით გამართულ საქველმოქმედო ცენტრ CHCA-ს გახსნას, რომლის დევიზია ,,დამოკიდებულებიდა თვითკმარობამდე“;

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის # 127 განკარგულებით დამტკიცებული ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, ქ. თბილისში რეგისტრირებული დევნილებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მიზნით 2016 წლის 5 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა ქ. თბილისში რეგისტრირებული დევნილების მიერ განაცხადების შევსების პროცესი, რომელიც ზემოაღნიშნული სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ იქნა სულ 400 ბინა, მათ შორის თბილისის ზღვაზე - 200, დანარჩენი კი თბილისის სხვადასხვა რაიონში.

აღნიშნული პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტის თავმჯდომარის განკარგულების შესაბამისად მომზადდა დეპარტამენტის თანამშრომლების მორიგეობის განრიგი. მორიგეობაში ჩაერთო დეპარტამენტის 40-მდე საჯარო მოხელე და შტატგარეშე მოსამსახურე (ყოველდღიურად მორიგეობდა 4 თანამშრომელი), რომელთა ფუნქციას წარმოადგენდა, კომპეტენციის ფარგლებში, აპლიკანტი დევნილებისათვის კონსულტაციის გაწევა, რიგის მსვლელობის კონტროლი, დევნილი ოჯახებისთვის ანკეტის შევსება და სხვა.
პარალელურად, ხორციელდებოდა განაცხადების შევსება ე.წ. ,,სახლი სოფლად“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) დევნილი ოჯახებისათვის შესყიდვას.
სულ 2016 წლის 5 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მოგვმართა 1500-მდე დევნილმა ოჯახმა.

- 12 აპრილს დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა, აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებით მონაწილეობა მიიღეს ,,გამწვანების აქციაში“, ბერიაშვილის ქ. №8-ში მდებარე კომპაქტური ჩასახლების ეზოში დარგულ იქნა წიფლისა და კიპარისის ნერგები;

- დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ 26 აპრილს ქ. რუსთავში კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მ. ჯეჯეიას გადაეცა ინვალიდის ეტლი;

- პროგრამის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში, 29 აპრილს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცათ სააღდგომო საჩუქრები;

- პროგრამის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში, აფხაზეთში დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა დედებს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე დევნილ პირებს, 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცათ საჩუქრები;

- 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ომის ვეტერანებს მიულოცეს გამარჯვების დღე;

- 31 მაისს, აფხაზეთიდან დევნილი თანამემამულეების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის, მათი სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის რეაბილიტაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარ სპეციალისტს რუსუდან ხარძიანს დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ გადაეცა აფხაზეთია ა/რ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი;

- დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა იმ ღონისძიებებში, რაც ემსახურებოდა სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. კერძოდ აპრილ-მაისის თვეში აქტიურად გულშემატკივრობდა სპორტის ახალ სასახლეში გამართულ საკალათბურთო მატჩებს სოხუმის გუნდის მონაწილეობით;

- 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დეპარტამენტის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს აფხაზეთის მოზარდ - ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრში ანსამბლ ,,მაფშალიას“ კონცერტზე აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების დასწრება;

- 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დეპარტამენტის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს ,,ახმეტელის თეატრში“ აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების უფასო დასწრება თეატრალურ წარმოდგენაზე;

- 1 ივნისს, დეპარტამენტის თავმჯდომარემ კ. კუჭუხიძემ და თავმჯდომარის მოადგილემ დ. მიქავამ მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში სასათბურე მეურნეობის გახსნის ცერემონიალში;

- 20 ივნისს, დევნილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დეპარტამენტმა მთაწმინდის პარკის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით უზრუნველყო სოციალურად დაუცველი დევნილი ბავშვების გაყვანა ბომბორას პარკში საბავშვო-გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

- 20 ივნისს, ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დეპარტამენტის ორგანიზებით სხვადასხვა კომპაქტური ჩასახლებიდან 20 დევნილი ბავშვი დაესწრო ახმეტელის თეატრში წარმოდგენას;

- 20 ივნისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში აფხაზეთობასთან და ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დეპარტამენტის თანამშრომლებმა;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ესპანეთის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდ ,,Finsol"-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2016 წლის აპრილ-აგვისტოს თვეებში, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიატორიაზე მცხოვრები და აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი 20 ბავშვის, ორი თვის ვადით, დასასვენებლად, მოხალისე ოჯახების მიწვევით, ესპანეთის სამეფოში გამგზავრება უზრუნველყო დეპარტამენტმა. მასპინძელ ოჯახებში ყოფნის პერიოდში ბავშვები, გაეცნენ ქვეყნის კულტურას, დაუმეგობრდნენ თანატოლებს, მონაწილეობდნენ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ და ჩატარებულ კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მომზადდა ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია (პასპორტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობლების თანხმობა, ცნობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ, ბავშვებისთვის ვიზები და სხვა) . პროგრამა განხორციელდა და დასრულდა წარმატებით. ამა წლის 6 ივლისს ბავშვები გემგზავრნენ ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან ესპანეთში და და დაბრუნდნენ 31 აგვისტოს.

- 7 ივლისს დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჰემატოლოგიის ინსტიტუტში სისხლის უანგარო დონორთა აქციაში ,,თქვენ დღეს სიცოცხლე გადაარჩინეთ" მიიღეს მონაწილეობა და გაიღეს სისხლი;

- 12 -13 ივლისს დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელი პირები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში. წარმომადგენლობების ხელმძღვანელებთან ერთად დევნილთა ახალ დასახლებებში შეხვდნენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, ადგილზე გაეცნენ მათ ყოფით პირობებს, ასევე საქმიანი შეხვედრა ჰქონდათ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკის ხელმძღვანელებთან. მოხდა შედეგების შეჯამება და დაიგეგმა სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებები;

- დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით გმირთა მოედანზე გამართულ ღონისძიებაში;

საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის ილია მეორის კურთხევით ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეტოქიონი შენდება. ეკლესიის მშენებლობა ძირითადად შემოწირულობებით ფინანსდება. იმ ქველმოქმედთა სახელები, რომლებიც შესაწირს გაიღებენ ტაძრის ასაშენებლად, შეტანილი იქნება ქველმოქმედთა შესახებ გამოცემულ წიგნში.

- დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე კონსტანტინე კუჭუხიძემ და ამავე უწყების თანამშრომლებმა 2016 წლის 20 ოქტომბერს აქტიური მონაწილეობა მიიღეს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობაში;

- 2016 წლის ოქტომბრის თვეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 29 აგვისტოს №27 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად შეიქმნა დეპარტამენტის ელექტრონულ რესურსზე ,,საჯარო ინფორმაციის გვერდი", რომელიც ადრე შექმნილ დეპარტამენტის ,,facebook" გვერდთან ერთად აქტიურად ფუნქციონირებს.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენლები მიმდინარე წლის 8 ნოემბერს იმყოფებოდნენ ქ. ქუთაისში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში, მიმდინარე და აქტუალური საკითხების ადგილზე განხილვის მიზნით. წყალტუბოში 560 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, 8 ათსართულიანი კორპუსის მშენებლობა დაიწყო. პირველ ეტაპზე 2 რვასართულიანი კორპუსი შენდება, სადაც ბინას 140 დევნილი ოჯახი მიიღებს. აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებმა დავით მიქავამ და გიორგი ბულისკერიამ მშენებლობის ადგილი მოინახულეს. სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ორნამენტი"ახორციელებს. წყალტუბოში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ მიეწოდა დამატებითი ინფორმაცია. კორპუსების მშენებლობის დასრულების შემდგომ, წყალტუბოში დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლების პრობლემა პრაქტიკულად გადაიჭრება.ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ ვახტანგ ყოლბაიას დავალებით, ქ. წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობაში შეხვდნენ ბატონ ვახტანგ ასლანიკაშვილს, მისი ოჯახის წინაშე მდგარი საჭიროებების შეფასებისა და მისთვის კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევის მიზნით.

- 2016 წლის 8 ნოემბერს სასტუმრო ,, რუმს ჰოტელ თბილისში" გაიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ,,გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის" პრეზენტაცია. ევროკავშირის მიერ შემუშავებული და დაფინანსებული პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს დევნილების და ადგილობრივი თემების სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, დანერგოს გენდერული მეინსტრიმინგი სამინისტროს და მის საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პოლიტიკის დოკუმენტებში, ასევე სხვადასხვა სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, რომლებიც მიმართულია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ევროკავშირისა და გაეროს წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წევრები, სახალხო დამცველის მოადგილე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. აღნიშნულ პრეზენტაციაზე მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე კონსტანტინე კუჭუხიძემ და მოწვეულმა დევნილებმა.
- მიმდინარე წლის 11 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ დაბა ბორჯომში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განსახლებული აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის,

საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის და ინფრასტრუქტურული პრობლემების შესწავლის მიზნით.

ბორჯომში რეაბილიტირებულია ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, მიმდინარეობს დასუფთავების სამუშაოები, რის შემდეგ მოხდება აღნიშნულ კორპუსში 64 დევნილი ოჯახის ჩასახლება. სამუშაო ჯგუფის წევრები შეხვდნენ დაბა ბორჯომში ორგანიზებულად ჩასახლებულ აფხაზეთიდან ი.გ.პ-ებს, ადგილზე გაეცნენ მათ საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურთან ერთად დასახეს საჭირბოროტო საკითხების, კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტის გზები.

- მიმდინარე წლის 15 ნოემბერს აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართული არიან სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში. შეხვედრის მიზანი გახლდათ პროგრამის მიმდინარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება.
- 2016 წლის 18 ნოემბერს 11.00 საათზე აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შედგა შეხვედრა წიგნის ,,Трагедия Абхазии, Грузия на суд Российской общественности" ავტორთან, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარიასთან.შეხვედრაზე, წიგნის განხილვისა და ავტორთან შეთანხმების შემდეგ, გადაწყდა 1992, 1993 და შემდგომ წლებში აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა შესახებ მონაცემთა დახვეწა, დაზუსტება – შევსების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნა.
- 25 ნოემბერს, დევნილთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში 1992-93 და შემდგომ წლებში აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა შესახებ მონაცემთა დახვეწა-დაზუსტების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ასევე განიხილეს სხვა მიმდინარე და აქტუალური საკითხები.
- 2016 წლის 30 ნოემბერს დღის 11 საათზე გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა დღის წესრიგით: 1. კონკურსის წესით დასაკავებელი ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპზე- ტესტირებაზე დაშვებული კონკურსანტისათვის ტესტირების ჩატარება, ტესტირების პასუხის შემოწმება და შედეგების შეჯამება; 2. კონკურსის მესამე ეტაპის- გასაუბრების ჩატარების ვადის განსაზღვრა. ტესტირების დასრულების შემდგომ გამოვლინდა კონკურსანტი ინგა გოგუა, რომელმაც წარმატებით გადალახა კონკურსის მეორე ეტაპი.
- 2016 წლის 2 დეკემბერს 11 საათზე ჩატარდა კონკურსის მესამე ეტაპი – ინდივიდუალური გასაუბრება. კონკურსანტ ი.გოგუას კომისიის წევრების მიერ დაესვა საკონკურსო თემატიკის მიხედვით, ვაკანტური თანამდებობით გათვალისწინებული ფუნქციების შესაბამისი კითხვები. კომისიის წევრებმა კონკურსანტის მიერ გამოვლენილი ცოდნის, გამოცდილებისა და მისი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით მიანიჭეს შესაბამისი შეფასებები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის,

ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დასანიშნად, ინგა გოგუას კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

- 2016 წლის 15 დეკემბერს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელშეწყობით 2016 წლის 23 დეკემბერს დაბა ბორჯომში ჩასახლებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ჩაუტარდათ გეგმიური, უფასო სამედიცინო გამოკვლევები.

- 2016 წლის 23 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დიდუბის რაიონის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა საახალწლო ზეიმი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და დიდუბის გამგეობის, კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსის მაია მაღრაძის ორგანიზებით საახალწლო ზეიმს დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი 68 ბავშვი.

- 2016 წლის 25 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკის რაიონის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა საახალწლო ზეიმი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და ვაკის გამგეობის, კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსის ალექსანდრე ბრეგვაძის ორგანიზებით საახალწლო ზეიმს დაესწრო აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი 150 ბავშვი.

- 29 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებითა და ქალაქ თბილისის მერიისა და „ტერაბანკის" ფინანსური მხარდაჭერით, მოძრაობა „ვიზრუნოთ ერთმანეთზე" ფარგლებში სოციალურად დაუცველ 550 დევნილ ოჯახს საახალწლო ნობათი გადაეცა. აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს დამდეგი შობა-ახალი წლის დღესასწაული მიულოცეს და სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქტი გადასცეს. ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები ესწრებოდნენ. აქციაში ჩართულნი იყვნენ ქალაქ თბილისის მერია, ადგილობრივი ბიზნეს-ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, კერძო პირები და მოხალისეები.

მოძრაობის „ვიზრუნოთ ერთმანეთზე" ფარგლებში პროდუქტი დაურიგდათ სოციალურად დაუცველ შემდეგ კატეგორიებს: მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებსა და ვეტერანებს, აფხაზეთის ომის I და II ჯგუფის ინვალიდებს, შშმ არასწრულწლოვანებსა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, დედ-მამით ობოლ ბავშვებს, იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურად აფხაზ ოჯახებს, 90 წელს გადაცილებულ პირებს, ომში შვილდაღუპულ დედებს.საქველმოქმედო აქცია წელს მეხუთედ იმართება და მისი მიზანი ადამიანებისადმი თანადგომა და საქართველოში მოხალისეობის კულტურის დანერგვაა.

- 30 დეკემბერს დეპარტამენტის ორგანიზებით აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი 70 ბავშვი დაესწრო თბილისის ცირკში გამართულ სანახაობას;

- დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, 2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, იურიდიული კონსულტაცია გაეწია 230 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს;

✓ - „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 თებერვლის №46 და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №349 დადგენილებების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მიერ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ წვევამდელთა 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევების შედეგების შესახებ ინფორმაციას (დანართი # **3,4**); ამასთანავე, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად, დამატებით გაწვეული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის ხაზით - **15**, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხაზით -**18** წვევამდელი, ხოლო ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში გაწვეულია- **6** წვევამდელი.

- აყვანილია პირველად სამხედრო აღრიცხვაზე - **949** წვევამდელი;
- გაცემულია რეზერვისტის დროებითი მოწმობა - **328** (სამხედრო ბილეთი);
- გაცემულია წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა - **647**;
- გაწვეულია საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში - **26**;
- შემდგომი რეაგირებისათვის, კანონის შესაბამისად შ.ს.ს გადაეცა - **250** წვევამდელის საქმე (რომელნიც არ გამოცხადდნენ გამწვევი კომისიების სხდომებზე);
- დროებითი საცხოვრებელი ადგილის დადგენის მიზნით შ.ს.ს გადაეცა - **1053** წვევამდელის საქმე;
- სასამართლოს გადაეცა - **24**, მათ შორის დაჯარიმდა **1000** ლარით **9** წვევამდელი;
- გაწვევის გადავადების მოსაკრებელი (**2 000** ლარი) – **7**;
- სამედიცინო კომისიაზე გატარდა - **609**;
- სამხედრო სააღრიცხვო მოწმობის დაკარგვისათვის დაჯარიმდა (**50** ლარი) -**3** წვევამდელი;

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის ა/რ) ამჟამად ცხოვრობს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსით მქონე, დაახლოებით 45 000–50 000 ათასი საქართველოს მოქალაქე, მათ შორის 18–დან 27 წლამდე ასაკის ჩვენი თანამემამულე, რომლებიც ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ შესაბამის სამხედრო სტრუქტურულ ერთეულში და მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური, საქართველოს გასამხედროებულ დანაყოფებში, მაგრამ ვერ ახერხებენ ოკუპირებული საზღვრის გადმოლახვას. ამავე დროს ხდება მათი იძულებით გაწვევა სეპარატისტების სამხედრო შენაერთებში. შესაბამისად, წარმომადგენლობების სამხედრო სამსახურები ამ კატეგორიის წვევამდელების მიმართ ვერ ახერხებენ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. ამასთანავე, სამხედრო სამსახურებში, სხვადასხვა უწყებებიდან

(თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი) შემოვიდა **1381** წერილი. სხვადასხვა ორგანიზაციების მისამართით სამსახურიდან გასულია **769** წერილი. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საკითხზე შესაბამის სამსახურებს მომართა **2255** მოქალაქემ.

როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 15 იანვრის №2 დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილია ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიები'', რომელთა უფლებამოსილებასაც განეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკური ბიუჯეტით დადგენილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ორგანიზება. ანალიზმა ცხადყო, რომ გასულ წელს, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის გამოყოფილი თანხები რაციონალურად არ იყო განაწილებული კვარტალურად, ვინაიდან 2016 წლის პირველი კვარტლისთვის გათვალისწინებულმა თანხებმა ვერ დააკმაყოფილა შემოსული განცხადებების რაოდენობა. მაგ: II კვარტალში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, გასული წლის აპრილის თვეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებისას, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის ასიგნებებს, დევნილთა სოციალური დაცვის მუხლში დამატებით გამოეყო 5 000 ლარი. III კვარტლის ასიგნებებიდან კი გადმოტანილ იქნა 7 000 ლარი. ხსენებული დახმარების გაცემის მრავალწლიანი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პაკეტით განსაზღვრული დახმარებები ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა წინაშე არსებული პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტას და ის მხოლოდ მოკლევადიან საჭიროებებზეა გათვლილი. ამასთან, სამწუხაროდ, განაწილების წესით დადგენილი კატეგორიების ბენეფიციარებისათვის განსაზღვრული თანხები შეზღუდულია და არ შეესაბამება არსებულ სოციალურ მოთხოვნებს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მომართვის საფუძველზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია და შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით, სოციალური პროექტების დაფინანსების სოციალური დახმარების კუთხით გაზრდის შესახებ, რაც შესაბამისად დაკმაყოფილებულ იქნა. კერძოდ, კანონით დადგენილი კატეგორიის მქონე ბენეფიციართა დაფინანსება გაიზარდა, თითოეულ კატეგორიაზე **50** ლარით და მან შეადგინა **150** (**ას ორმოცდაათი**) ლარი; ხსენებული წინადადებების გათვალისწინება, მოგვცემს საშუალებას მცირედით

გავაუმჯობესოთ დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. აქვე წარმოგიდგენთ, 2016 წლის სტატისტიკურ მონაცემებს (დანართი #**5,6,7**).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 აპრილის N15 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 2012 წლის 3 თებერვლის N4 ბრძანება. ამავე დადგენილებით დამტკიცდა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესი“. წარმოგიდგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი კომისიების მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას (დანართი#**8).** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან 2016 წლის 1 იანვრიდან ამ საკითხზე შემოსულმა წერილებმა, 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად იკლო. წარმოგიდგენთ შესაბამისი კომისიების მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას (დანართი -**9**). ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამის კომისიებზე სულ შემოვიდა **850** განცხადება. გაიცა - **828** დასკვნა. აქედან დადებითი დასკვნა გაიცა - **791**-ზე , **37** -ს უარი ეთქვა, ადმინისტრაციულ წარმოებაშია - **22**. კომისიების მიერ **126** დასკვნაა გაცემული არაქართველ პიროვნებებზე, მათ შორის: აფხაზი-**96,** რუსი-**9**, ჩინელი-**1**, სომეხი-**6**, ბერძენი-**5**, თურქი-**2**, უკრაინელი-**1**, პოლონელი-**1**, ესტონელი-**2**, ბოშა-**1**, ბულგარელი-**1**, კუმიკი-**1**.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 15 იანვრის N3 დადგენილების შერულების მიზნით, წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში წარმომადგენლობების შესაბამისი კომისიების მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას (დანართი#**10**). აღნიშნული პროგრამის განხორციელებით შესაძლებელი გახდა დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სახის სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარება, რაც ჯამში ხელს უწყობს

მათი საყოფაცხოვრებო პირობების მცირედით გაუმჯობესებას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის 2.4. პუნქტით გათვალისწინებული თანხები წარმომადგენლობების ასიგნებებში, რაციონალურად არ იყო განაწილებული კვარტალების მიხედვით. ანალიზმა გვაჩვენა, რომ აუცილებელია დევნილებში სოციალური ეფექტის ამღლების მიზნით, იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის დაფინანსების გაზრდა რაც, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების მომართვის საფუძველზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის შუამდგომლობით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ დააკმაყოფილა. შედეგად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით, იგპ-თა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის დაფინანსება გაიზარდა/გაორმაგდა. კერძოდ, 2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებზე გამოყოფილმა თანხამ შეადგინა **4900** ლარი, ხოლო 2017 წელს კი **9800** ლარი. ხსენებული წინადადებების გათვალისწინება, მოგვცემს საშუალებას, მცირედით გავაუმჯობესოთ დევნილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, 2015 წლის 17 აგვისტოს, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა“ და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანს წარმოადგენს დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობა, მათთვის გადასაცემი საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირება, გადაცემის უზრუნველყოფა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემული საერთო სარგებლობის ფართებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმით განისაზღვრა სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის პრინციპები და ფორმები, მხარეთა უფლებამოსილებები და სხვა რეგულაციები. 2016 წლის ივნისის თვეში კი სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში დევნილთა სამინისტროსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) ინიციატივით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, თემაზე - „დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საკუთრებაში გადაცემა“. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს დევნილთა სფეროში მომუშავე ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“, თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებმა. სამუშაო შეხვედრის

ფარგლებში, მონაწილე ორგანიზაციების მიერ განხილულ იქნა ისეთი საკითხები როგორიცაა: დევნილთა განსახლების ობიექტზე არსებული საერთო სარგებლობის ფართების - სხვენების, სარდაფების, კიბის უჯრედების და კორიდორების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა; წითელი ხაზების დადგენა; წითელ ხაზებში არსებული მიწის ნაკვეთის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გზით დევნილი და მასპინძელი თემის წარმომადგენლების საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. მიუხედავად ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებისა, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამით დევნილებისათვის გადაცემული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საკუთრების ფორმის საკითხი რიგ ობიექტებში, სამწუხაროდ, ჭიანურდება. შესაბამისად, შენობა-ნაგებობების საკუთრების უფლების გაურკვევლობის გამო, ნებისმიერ სხვა სახელმწიფო სტრუქტურას უძნელდება რაიმე სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსება. შესაბამისად, უნდა მოხდეს საკადასტრო (წითელი ხაზების) საზღვრების დადგენა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ტერიტორიის გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოსათვის, რათა შემდგომში იქ მცხოვრებმა დევნილმა ოჯახებმა, რომელთაც მართლზომიერ მფლობელობაში გადაეცათ საცხოვრებელი ბინები, შეძლონ ჩამოაყალიბონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, რომლებიც იქნებიან მუნიციპალური პროგრამების ბენეფიციარები (სახურავის შეკეთება, სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვა, დაზიანებული საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა-შეკეთება, საერთო სარგებლობის ფართობების მოწესრიგება, უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფა და ა.შ).

✓ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლების ქ. თბილისის რაიონებში და საქართველოს რეგიონებში მდებარე ორგანიზებული ჩასახლების ობიექტებზე მიმაგრების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 10 ივნისის №19-ძ/ს ბრძანების თანახმად (ანალოგიურად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ხელმძღვანელების ბრძანებით შეიქმნა რეგიონული სამუშაო ჯგუფები), წინასწარ შემუშავებული კითხვარებით, შესწავლილ იქნა, ქვეყნის მასშტაბით, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების შენობა-ნაგებობების ტექნიკური, ასევე იქ განსახლებული დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც მოგვცა შესაძლებლობა აგვეტვირთვა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მიღებული (პერიოდულად განახლებადი) ინფორმაციები, შემდგომში სერვერზე მათი მართვისა და ადმინისტრირების მიზნით. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, ჩვენი თანამემულეებისათვის დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობისა და საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბებული ჯგუფებისათვის თანადგომის (პროცესის დაჩქარების) მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების

დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 10 ივნისის №10-ძ/ს განახლებული ბრძანების შესაბამისად, განახლდა სამუშაო ჯგუფების საქმიანობა ამ მიმართულებებით. გაწეული მუშაობის შედეგები იხილეთ დანართი**#11 .**

- 2016 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ, ინიცირებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე განსახილველი შემდეგი საკითხები:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

3. ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/ სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ.
5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ 2016 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (2016 წლის აპრილი).

6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 15 იანვრის #3 დადგენილებით განსაზღვრული იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა საკუთრებაში /სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილი შესაბამისი კომისიების მიერ 2016 წლის პირველ კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ (2016 წლის მაისი).

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული დევნილთა სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე დახმარების გაწევის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში შექმნილი ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიების მიერ 2016 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (2016 წლის მაისი).

8. ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ 2016 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ (2016 წლის ივლისი).

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების შესაბამისი სამსახურების მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ წვევამდელთა 2016 წლის

საგაზაფხულო გაწვევის შედეგებისა და საშემოდგომო გაწვევისათვის მოსამზადებელი სამუშაოების გატარების შესახებ (2016 წ. აგვისტო).

10. ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში /სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სარემონტო - აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის # 15 დადგენილებით განსაზღვრული აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ ფინანსური დახმარების გაწევის მსვლელობის შესახებ (2016წ. აგვისტო).

11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის 2016 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ (2016 წ.ივლისი).

12.აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლიბების მიერ 2016 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა (2016 წლის ოქტომბერი).

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში სულ შემოსულია **1891** დოკუმენტი.
მათ შორის:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან შემოსული კორესპოდენცია - 399
- აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება მატერიალური დახმარების გამოყოფის შესახებ -972
- სხვადასხვა უწყებებიდან -139
- მოქალაქეებიდან -12
- შიდა მიმოწერა -170
- დეპარტამენტში დაშვებული ბრძანებები -199
- დეპარტამენტიდან გასული კორესპოდენცია **- 807**
- სულ დოკუმენტბრუნვამ შეადგინა **-2698**

(დოკუმენტბრუნვაზე სრული ინფორმაცია იხილეთ დანართ **№ 12** -ში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის **წლიურმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 878637,07 ლარი.**
მათ შორის:

- თანამდებობრივი სარგო	- 453583.50 ლარი
- პრემია	-93090 ლარი
- დანამატი	- 580 ლარი
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	- 85085.69 ლარი
- მივლინება	- 4266.60 ლარი
მშ მივლინება ქვეყნის შიგნით	- 1722 ლარი
მივლინება ქვეყნის გარეთ	- 2544.60 ლარი
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	- 2259 ლარი
მ.შ შენობა-ნაგებობის – რემონტის ხარჯი	- 1740 ლარი
საარქივო მომსახურება	- 225 ლარი
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	-294 ლარი
ოფისის ხარჯი	**-29494 ლარი:**

- **კომუნალური ხარჯი 10291.17 ლარი**: მ.შ ელექტროენერგიის ხარჯმა შეადგინა 3724.85 ლარი, წყლის ხარჯი 1927.32 ლარი , ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი 3159 ლარი, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდინარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი 1480 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯმა – 8495.99 ლარი: მ.შ ინტერნეტ მომსახურება 3690 ლარი, კორპორაციული მომსახურება 3152.06 ლარი, სატელეფონო მომსახურება 1433.93 ლარი, სატელევიზიო მომსახურება 220 ლარი ; **საკანცელარიო ხარჯმა შეადგინა** 1885.80 ლარი, **ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო მომსახურება** – 626.50 ლარი, **საფოსტო ხარჯი** 327 ლარი, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯი 759 ლარი, **მობილური ტელეფონი** -269 ლარი, **კომპიუტერული ტექნიკის შეძენა-** 2032.50 ლარი, **კარტრიჯის შეძენა და დატუმბვა** -583 ლარი, ოფისისათვის საჭირო მასალების შეძენა 564 ლარი, **მიმდინარე რემონტის ხარჯი** -1320 ლარი და საოფისე ტექნიკის მოვლა-შენახვის და მიმდინარე რემონტის ხარჯი - 1067 ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯი -997.85 ლარი.

- ტრანსპორტის შენახვისა და მოვლის ხარჯი– გაიხარჯა 17180.92 ლარი. მ.შ საწვავი – 8986.92 ლარი, ავტომანქანის მიმდინარე რემონტი 1320 ლარი, ავტომანქანის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი – 6554 ლარი, ტრანსპორტის დაქირავება -320 ლარი.

სხვა ხარჯმა შეადგინა– 7801.93 ლარი: მ.შ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ესპანეთში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებული ხარჯმა შეადგინა 5895.86 ლარი, სატრანსპორტო საშუალების დაზღვევისმომსახურება - 1352 ლარი, მოსაკრებელი – 554.07 ლარი.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გახარჯულია 183695.50 ლარი, მ.შ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით გაცემულია 976 ოჯახზე 182830 ლარი, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება –865.50 ლარი, რომლის ჩარიცხვა დევნილთა საკრედიტო ბარათებზე განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ.

დეპარტამენტის არაფინანსური აქტივების ხარჯმა შეადგინა -1874 ლარი.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

❖ წარმომადგენლობის დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრების პროგრამის ფარგლებში, დევნილთა წინაშე არსებული პრობლემების გაცნობისა და მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით, დაიგეგმა და მოეწყო სამუშაო ჯგუფების გასვლები სამოქმედო რეგიონის მუნიციპალიტეტებში, მათ შორის სამტრედიის, ბათუმის, ქობულეთისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში აფხაზეთის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარესა და მთავრობის წევრებთან ერთად. შეხვედრებზე დევნილ მოსახლეობას მიეწოდა შესაბამისი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებებით:

✓ <u>სოციალურ საკითხთა მიმართულება</u>

- დევნილ მოქალაქეებს მიეწოდა ინფორმაცია ჯანდაცვის სისტემაში დღეს არსებულ სამედიცინო მომსახურების ნორმებსა და შესაძლებლობებზე, ვეტერანთა დაზღვევისა და სტატუსის მინიჭების საკითხებზე, მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამების, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობისპროგრამის-სოციალურად დაუცველთა ერთჯერადი დახმარების გაცემის წესებისა და კრიტერიუმების შესახებ, მოეწყო შეხვედრები მუნიციპალიტეტების სოციალურ საკითხთა სამსახურების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებთან. საანგარიშო პერიოდში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა იგპ-თა წინაშე არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის საჭირო ალტერნატიული რესურსებისა და პროგრამების მოძიებისა და მათში დევნილთა ჩართულობისათვის.

<u>საყოფაცხოვრებო საკითხთა მიმართულება</u>

- განსახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილ მოქალაქეებს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პროგრამის - იგპ-თა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფისა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობაში დევნილთა მართლზომიერ სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ კორპუსებში მცირე და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების პროგრამების შესახებ, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს იგპ-თა განსახლების ობიექტებში კომუნალური და სხვა სახის სარემონტო სამუშაოების დაფინანსებას.

✓ <u>იგპ- თა დასაქმების მიმართულება</u>

- სამუშაოს მაძიებელი და გადამზადების მსურველი ბენეფიციარების აღრიცხვის მიზნით, დასაქმების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სპეციალური ანკეტების ფორმები და შესაბამისი ელექტრონული ბაზები (რეესტრები), გასვლით შეხვედრებზე დევნილ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამისა და პროექტის „აწარმოე საქართველოში“ შესახებ. ასევე, წარმომადგენლობის მიერ დევნილთა დასაქმებისათვის შემუშავებული ღონისძიებების შესახებ. KSB ბანკის ხელმძღვანელობასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შორის არსებული შეთანხმების ფარგლებში მოძიებულ იქნა კანდიდატურები ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, ორგანიზაცია „ბიზნესინკუბატორთან“ თანამშრომლობით გატარდა ღონისძიებები პლასტმასის ნაკეთობათა შედუღების სპეციალისტთა და სპეცილობის შესწავლის მსურველთა მოძიების მიმართულებით, დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, მოეწყო კონსულტაციები საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. დასაქმების სამუშაო ჯგუფის წევრები აქტიურად საქმიანობენ სამუშაო ადგილების, ვაკანსიების, საკრედიტო და საგრანტო ხაზების მოძიებისა და დაინტერესებულ პირთათვის სათანადო ინფორმაციის მოწოდების, ასევე დასაქმების ალტერნატიული გზების მოძიების მიმართულებით.
- წარმომადგენლობის შესაბამისი სამსახურები აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობების, საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგეგმილი ღონისძიებების ორგანიზებისა და განხორციელების საქმეში (აფხაზეთის დაცემის დღე, აფხაზეთში გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლთა ხსენების დღე და სხვა).

❖ **გამოვლენილი პრობლემები**

დევნილ მოსახლეობასთან გასვლით შეხვედრებსა და საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის საქმიანობის შედეგად, ზემოთ აღნიშნული მიმართულებების მიხედვით დაფიქსირდა შემდეგი სახის პრობლემები:

✓ <u>სოციალურ საკითხთა მიმართულება</u>

- სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ბენეფიციართა ჩართვისა და პროგრამიდან ამოყვანის საკითხები;

➢ ***მოსახლეობისთვის გაურკვეველია პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, ხშირად სათანადო ინფორმაციის არქონის გამო თვით ბენეფიციართა მიერ ირღვევა ვალდებულებები, რაც მათი პროგრამიდან ამოყვანის მიზეზი ხდება.***

- მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო გამოკვლევებზე ხელმისაწვდომობა და პირველადი ჯანდაცვის საკითხები;
- ➢ ***ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამები არ ითვალისწინებს რიგი მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსებას, მასთან ხშირად ასეთი სერვისები ბენეფიციარებს ადგილზე არ მიეწოდებათ.***
- ვეტერანთა სამედიცინო მომსახურეობისა და სოციალური შეღავათების საკითხები;
- ➢ ***ვეტერანები ითხოვენ მათთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურეობა ხელმისაწვდომი იყოს რეგიონებში, ასევე ითხოვენ საყოფაცხოვრებო (კომუნალური) სუფსიდიების აღდგენას.***
- მაღალი ფასები მედიკამენტებზე და სხვა;

✓ <u>საყოფაცხოვრებო საკითხთა მიმართულება</u>

- რიგ მუნიციპალიტეტეტებში დევნილებისათვის უკვე დაკანონებულ ობიექტებში გვხდება ოჯახები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზებით არ აქვთ დაკანონებული საცხოვრებელი ფართები. მიზეზი: არ იყვნენ ადგილზე, ან აქვთ დავა გამოყოფილ ფართზე, რის გამოც იმყოფებიან გაურკვეველ ვითარებაში.
- კვლავ აქტუალურია დევნილი ოჯახებისათვის საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი კორპუსების საკადასტრო საზღვრების დადგენისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბალანსზე მათი აყვანის საკითხები, ასევე საერთო სარგებლობის ფართების გადაცემა - დაკანონების საკითხები.

✓ <u>იგპ-თა დასაქმების მიმართულება</u>

- იგპ-თა საარსებო წყაროებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, სამუშაო ადგილების სიმცირე, წარმოების ძირითად საშუალებებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სასწავლებლების სიმცირითა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების შემსწავლელი პროგრამებზე ხელმისაწვდომობის საკითხები.
- ხშირად დევნილები უარს აცხადებენ შეთავაზებულ ვაკანსიებზე (სამუშაო ადგილებზე) დაბალი ანაზღაურების, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და/ან სამუშაო პირობების გამო.
- დევნილები, რომლებიც ჩართული არიან ე.წ. „სიღარიბის პროგრამაში“, დასაქმების შემთხვევაში სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ამოჰყავს პროგრამიდან (დევნილებისათვის კი პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური სუბსიდია, სიმწირის მიუხედავად წარმოადგენს სტაბილურ შემოსავალს და მისი დაკარგვა არ სურთ), რის გამოც ამ კატეგორიის დასაქმებული დევნილები დამსაქმებელთან მოლაპარაკების გზით ცდილობენ არალეგალურად (ანუ ხელშეკრულების გაუფორმებლად) იმუშაონ. ხშირია შემთხვევევბი, როდესაც დამსაქმებელი სარგებლობს ამ მდგომარეობით და არასრულად ან სულაც არ აძლევს დასაქმებულს შესრულებული სამუშაოს საზღაურს, ეს

უკანასკნლი კი ვეღარ იცავს თავის უფლებებს, რადგან შრომითი ურთიერთობების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს. არის შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან ამ კატეგორიის დევნილებს საარსებო წყაროების შექმნაში, ამ შემთხვევაშიც სააგენტოს მიდგომა იგივეა, რაც ხშირად დონორთა გაოცებასაც იწვევს. საკითხი აქტუალურია მაშინაც, როცა დასაქმებულის შემოსავალი ძალიან მცირეა და უტოლდება სააგენტოს მიერ დაწესებულ შემწეობას ან ოდნავ აღემატება მას. ამ შემთხვევაში ბენეფიციარი უარს აცხადებს დასაქმებაზე, რადგან არ უღირს შრომა.

❖ **რეაგირებები და შედეგები**

✓ <u>**სოციალურ საკითხთა მიმართულება**</u>

- წარმომადგენლობა დევნილი მოსახლეობის წინაშე არსებული სოციალური ხასიათის პრობლემების მოგვარების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს საკურატორო რეგიონების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებთან, სოციალურ პროგრამებში დევნილ ბენეფიციართა ჩართულობის ამაღლებისა და პრობლემების მოგვარების ლობირების კუთხით. კერძოდ:

➢ ქ. წყალტუბო - 2016 წელს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დახმარების პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურებისათვის ფულადი დახმარება გაუწია **32** დევნილს. სამედიცინო დაწესებულებებში ჩარიცხულმა თანხამ **23 421** ლარი შეადგინა. **34** დევნილ ოჯახს დაკრძალვის ხარჯებისათვის თითოეულს **250**, სულ თანხამ **8500** ლარი შეადგინა, სოციალურად დაუცველ **24** ოჯახს გამოზამთრებისათვის დაურიგდათ, თითოეულს, 5 კუბური მეტრი შეშა. სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 65 000 მდე, ერთჯერადი ფულადი დახმარება **150** ლარი, დახმარება გაეწია **715** ოჯახს. სულ თანხა შეადგენს **107 250** ლარს, მრავალშვილიანთა მატერიალური წახალისება - ერთჯერადი ფულადი დახმარება მესამე შვილი შეძენისას **500** ლარი დაფინანსდა **7** ოჯახი- სულ **3500** ლარი. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის მქონე ბავშვებს **200** ლარის ოდენობის დახმარება გაეწია **19** დევნილს, სულ თანხა **3800** ლარი, ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირთა დახმარებისთვის **500-500** ლარი გადაეცა **3** დევნილს, სულ თანხამ **1500** ლარი შეადგინა. პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდთა დახმარებისთვის **500-500** ლარი გადაეცა **4** დევნილს, სულ **2000** ლარი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ დახმარება გაუწია ხანძრის შედეგად დაზარალებულ **2** ოჯახს საოჯახო ინვენტარითა და ავეჯით, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობამ თითოეულს **500** ლარი გადასცა.

➢ მიმდინარე წლის ზამთრის საკმაოდ ცივ სეზონთან დაკავშირებით, წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა სოციალურად დაუცველ **8** დევნილ ოჯახს გამოუყო სათბობი შეშა.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი, ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამით სარგებლობს **3** დევნილი მოქალაქე, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი მედიკამენტებით.
- ასევე, დიალეზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული აფხაზეთიდან დევნილი **4** მოქალაქე სარგებლობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სერვისით, რომელიც პაციენტთა ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებს.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში **11** დევნილ ბენეფიციარს დაუფინანსდა გამოკვლევები, რომელიც არ არის გათვალისწინებული საყოველაო დაზღვევის ფარგლებში.
- საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობის ოფისში ვეტერანთა საქმეების მიმართულებით **173** მოქალაქეს გაეწია სრულყოფილი კონსულტაცია ვეტერანის სტატუსისა და საშეღავათო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა ერთჯერადი **500** - ლარიანი დახმარება გადასცა **9** დევნილ ვეტერანს, ხოლო **2** დაეხმარა ქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსებაში, თითოეულს **500-500** ლარით.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქუთაისში მცხოვრებ **2** დევნილ ვეტერანს, კორონოგრაფიის პროცედურა დაუფინანსა საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურმა, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ **2** სოციალურად დაუცველ დევნილზე გასცა ერთჯერადი დახმარება **200-200** ლარის ოდენობით, მედიკამენტების შესაძენად.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, სამტრედიის მუნიციპალიტეტმა ერთჯერადი მატერიალური დახმარებები გასცა **2** დევნილზე, ხოლო ქუთაისის მერიამ **4** დევნილს გაუწია მატერიალური დახმარება სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსებაში.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მაგნიტურ - რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევები სრულად დაუფინანსდა **29** ბენეფიციარს, ხოლო **1** ბენეფიციარს გაუკეთდა კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტით.
- რაც შეეხება სოციალურად დაუცველი პირების შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ერთის მხრივ, წარმომადგენლობის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის სპეციალისტების მიერ დევნილებს მიეცათ ინდივიდუალური გამარტებები და კონსულტაციები, ხოლო მეორეს მხრივ, მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზემდგომ სტრუქტურებში გადაიგზავნა წინადადებები, განხილვისა და საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან ლობირებისათვის.
- მიმდინარე წლის მაისის თვეში, ქ. სამტრედიაში, მოეწყო აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული სამედიცინო გასინჯვების გასვლითი აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო **200**-მდე დევნილმა ბენეფიციარმა, მათ ასევე გადაეცათ მედიკამენტები. აქცია ხასიათდებოდა მაღალი სოციალური ეფექტით. მსგავსი აქციები დაგეგმილია ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებშიც.

- ანალოგიური აქცია მოეწყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და კოპიტნარის ყოფილ სამხედრო დასახლებებში, სადაც მომსახურეობა გაეწია **700**-მდე დევნილ მოქალაქეს.
- ასევე მაღალი სოციალური ეფექტით ხასიათდებოდა ივნისის თვეში, ქ. ქუთაისში მოქმედი მრავალპროფილური სამედიცინო კლინიკა „მედიქალსიტისა“ და წარმომადგენლობის ერთობლივი სამედიცინო აქცია, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ქუთაისსა და წყალტუბოში განთავსებული დევნილი მოქალაქეების უფასო ოფთოლმოლოგიურ და პროქტოლოგიურ გამოკვლევებს. აქციაზე შესაბამისი მომსახურეობა გაეწია **76** დევნილ ბენეფიციარს. ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, აქცია გაგრძელდა წლის ბოლომდე, შესაბამისად აღნიშნული სერვისით დამატებით ისარგებლა **18** ბენეფიციარმა. იმავე კლინიკის ბაზაზე, წარმომადგენლობის უშუალო აქტიურობით შესაძლებელი გახდა დევნილი პაციენტების მომსახურება დამატებით, ორი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში. კერძოდ: 2016 წლის თბერვალში, კანის დაავადებების მქონე პაციენტებს კონსულტაცია ჩაუტარა რუსეთიდან მოწვეულმა სპეციალისტმა რასტრაპოვსკიმ, ხოლო აგვისტოში პ. ინგოროყვას სახელობის კლინიკის წამყვანმა სპეციალისტებმა უფასო გამოკვლევები ჩაუტარა **102** დევნილ ბენეფიციარს.
- დადებითად გადაწყდა მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, რეგიონში წარმოქმნილი პრობლემა. კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის, წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების პირადი და უშუალო ჩარევით, დროულად იქნენ ინფორმირებულნი სამინისტროს ხელმძღვანელი პირები და რიგი გაუგებრობების მიუხედავად, რამაც მცირედით გააჭიანურა პრობლემის მოგვარების საკითხი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდოდა საქართველოს მთავრობის სხდომაზე და ამ კატეგორიის დევნილი ოჯახები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან.
- მიმდინარე წლის 8 სექტემბერს, ზუგდიდის გაეროს ოფისის წარმომადგენლებთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ადგილზე გასვლით შესწავლილ იქნა **9** განსაკუთრებულად უმწეო მდგომარეობაში მყოფი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი, რომელთაგანაც **4** ოჯახს გამოეყო ერთჯერადი მატერიალური დახმარება სხვადასხვა ოდენობით. (**200**-დან **300** ლარის ფარგლებში).
- დადებითი სოციალური ეფექტით ხასიათდებოდა, საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი, რომელიც საქართველოს პარლამენტში მოეწყო. მასში მონაწილეობა მიიღო 5-დან 14-მდე ასაკის **300** დევნილმა ბავშვმა, რომელთა შერჩევა და ორგანიზებულად მიყვანა მთლიანად უზრუნველყო წარმომადგენლობამ.
- საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის მიერ ორგანიზებულ, 2017 წლის საახალწლო ღონისძიებაში, წარმომადგენლობის ორგანიზაციული მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს ქ. ქუთაისსა და ხონის სამხედრო დასახლებაში მცხოვრებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მეომართა,

შესაბამისი ასაკის შვილებმა და შვილიშვილებმა, ხოლო ინვალიდ ვეტერანებს გადაეცათ საახალწლო სასაჩუქრე პაკეტები.

✓ <u>საყოფაცხოვრებო საკითხთა მიმართულება</u>

- ზესტაფონი - ყოფილი პროფსასწავლებლის სარდაფის პრობლემის მოგვარების მიზნით, წარმომადგენლობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, იმერეთის ტერიტორიული ორგანოს ხელმღვანელები, იმყოფებოდნენ ზესტაფონში, სადაც შეხვდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელს. შეხვედრაზე მოწვეულ სპეციალისტებთან თათბირის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრობლემა უფრო გლობალური ხასიათისაა და ის შეეხება მთლიან უბანს. კერძოდ, მოსაწყობია სადრენაჟე და სანიაღვრე არხების ქსელი, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და აღნიშნული სამუშაოების დასაფინანსებლად ადგილობრივი რესურსები არ არის საკმარისი და საჭიროა გარკვეული წინადადებების მომზადება ქვეყნის ცენტრალური სტრუქტურებისათვის მისაწოდებლად.
- ქ. ქუთაისში, დ. ჭონქაძის ქუჩაზე არსებული სანატორიუმ „სათაფლია“-ში მცხოვრები დევნილების თხოვნაზე, სამარშრუტო ხაზის დანიშვნის შესახებ, რეაგირებისა და საკითხის გადაწყვეტის მიზნით, დევნილებთან ურთიერთობის, სოციალურ საკითხთა და რეგიონული მართვის სამსახურის უფროსი პირადად შეხვდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურისა და დასუფთავების სამსახურის უფროსს მალხაზ ბასილაძეს. გამოირკვა, რომ აღნიშნული პრობლემა უნდა განიხილოს ქ. ქუთაისის საკრებულომ. მანამდე კი ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე (რომელიც ესაზღვრება დ. ჭონქაძის ქუჩას) უკვე არსებული სამარშრუტო ტაქსი მოემსახურება დღეში ორჯერ.
- კომპანია „სოკარ-ჯორჯიამ“ დაასრულა სასტუმრო „ხვამლის“ გაზიფიცირების სამუშაოები და მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან ბუნებრივი აირი მიეწოდება **48** დევნილ ოჯახს. აღნიშნული შესაძლებელი გახდა წარმომადგენლობის აქტიური ჩართვითა და დახმარებით. კერძოდ, წარმომადგენლობისა და „სოკარ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელების შეთანხმების შესაბამისად, კომპანიამ საკუთარი ხარჯებით შეიყვანა 170 გრძივი მეტრის მილი შენობამდე ხოლო საცხოვრებელ ბინებში სათანადო კომუნიკაციების მონტაჟის საფასური (განვადების პირობებით) გაიღეს თავად დევნილმა ოჯახებმა. პროგრამაში ჩართვის სურვილი დამატებით კიდევ **6** ოჯახმა გამოთქვა, რომლებიც ასევე დაკმაყოფილდებიან არსებული პირობების გათვალისწინებით.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და უშუალო ჩართულობით, გარემონტდა გარე კანალიზაციის სისტემები სანატორიუმებში „მეტალურგი", „ფილიალი", „თბილისი", „იმერეთი", შიდა კანალიზაციის და წყლის დაზიანებული სისტემა „სამგურალში", „აიაში", „მეგობრობაში", „თბილისში", „გეოლოგში", ელექტრომეურნეობის ყოფილ სასტუმროში. გარე წყლის დაზიანებული სისტემა გაარემონტა ქ. წყალტუბოს წყალსადენმა, სანატორიუმ „წყალტუბოში".

- ქ. წყალტუბოში შ.პ.ს. „ჰიგიამ" ჩაატარა სადეზინფექციო სამუშაოები იმ **16** სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლებში, ასევე გარე ტერიტორიებზე, სადაც განსახლებულია დევნილები.
- 2016 წლის 17-18 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ქ. წყალტუბოში ჩაატარა დევნილთა უფასო სამედიცინო გამოკვლევები. ამ გამოკვლევით ისარგებლა **212** დევნილმა.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, დასრულდა სტიქიით დაზიანებული ყველა კორპუსის სახურავის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები (ხონის ს/დ 101-ე კორპუსი, კოპიტნარის ს/დ 1, მე-3, მე-5 და მე-15 კორპუსები, წყალტუბოში სანატორიუმებში „საქართველო“, „მედეა“, „რკინიგზელი“ და „წყალტუბო“, ქუთაისში ყოფილი სატრაქტორო ქარხნის შენობა).

✓ <u>იგპ-თა დასაქმების მიმართულება</u>

- სამოქმედო რეგიონის იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც საანგარიშო პერიოდში მოეწყო წარმომადგენლობის გასვლითი შეხვედრები, ამაღლდა იგპ-თა ინფორმირებულობის დონე, დევნილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ.
- წარმომადგენლობის შესაბამის ბაზაში აისახა **92** ბენეფიციარის მონაცემები.
- საქმიანი და ნაყოფიერი გამოდგა თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტთან“, რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოცხადებულ კონკურსში. წარმომადგენლობასთან კონსულტაციების შედეგად, შეირჩა ის მუნიციპალიტეტები, რომლებშიც უნდა განხორციელებულიყო პროგრამა. მესამე კვარტლის დასაწყისში დასრულდა ბენეფიციართა შერჩევა, ასევე დასრულდა მათ მიერ წარმოდგენილი ბიზნესწინადადებების შეფასება-შერჩევის პირველი ეტაპი. გამოვლინდა გამარჯვებულებიც.
- წარმომადგენლობის ძალისხმევით, ა/ო „ცენტრი აფხაზეთი“-ს საგრანტო პროგრამაში ჩაერთო ქ. ქუთაისიდან **20** და ქ. წყალტუბოდან **9** დევნილი დამწყები და მოქმედი მცირე მეწარმე. პროგრამა ითვალისწინებს **500**-დან **2000** ევრომდე გრანტის გაცემას, მცირე საწარმოს განვითარებისათვის. წარმომადგენლობის თხოვნით, აღნიშნულმა ორგანიზაციამ პროექტის პრეზენტაცია მოაწყო ქ. ბათუმშიც, ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი პირები.
- ქ. ბათუმში მცხოვრებ **5** დევნილს გაეწია რეკომენდაცია, სამშენებლო კომპანია „ნოვა-2012“ ხელმძღვანელობის წინაშე. შედეგად ყველა მათგანი დასაქმდა აღნიშნულ კომპანიაში და ასრულებენ სარემონტო სამუშაოებს.

- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქ. ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს პროგრამის ფარგლებში, პროფესიული გადამზადების კურსებს გაივლის **3** ადამიანი ელექტრო შემდუღებლისა (2 ადგ.) და მძიმე ტექნიკის ოპერატორის სპეციალობების შესასწავლად. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს 4 თვიან თეორიულ და 2 თვიან პრაქტიკულ სწავლებას, ეს უკანასკნელი ანაზღაურებადია. ასევე, წარდგენილია სათანადო რეზიუმე **6** დევნილის დასაქმებისათვის.
- წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პირადი კონტაქტებით, მიღწეულია შეთანხმება ქ. ქუთაისში მოქმედ, ერთერთი ხის გადამამუშავებელი საწარმოს ხელმძღვანელობასთან, რომელიც საშუალებას მისცემს წარმომადგენლობის მიერ შერჩეულ **5** მსურველს, გაიარონ გარკვეული სწავლება აღნიშნულ საწარმოში, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.
- წარმომადგენლობის შუამდგომლობით, თერჯოლის რაიონში შესაძლებელი გახდა ყოფილ საავადმყოფოში მცხოვრები ორი დევნილის დასაქმება აღნიშნული მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურში. მათი სახელფასო ანაზღაურება შეადგენს თვეში **200** ლარს.
- „მეწარმე ქალთა ფონდი“-ს მიერ შემუშავებულ პროექტის ფარგლებში, პროფესიული გადამზადების 3 თვიან კურსებს, შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, გაივლის 4 ადამიანი.

✓ <u>საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის აპარატში:</u>

- სულ შემოვიდა **2160** , ხოლო გასულია **699** კორესპოდენცია;
- სულ დარეგისტრირებულია მოქალაქეთა **310** განცხადება;
- სულ გაცემულია **329** სხვადასხვა სახის ცნობა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

✓ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ **420** აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაციები (დაბადების მოწმობის აღდგენა, პირადობის

მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა, სტაჟის დადგენა, და სხვა).

- ✓ საანგარიშო პერიოდში პერიოდულად მოწმდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განთავსებული დევნილთა საცხოვრებელი ობიექტები (**452** ობიექტი). დღეის მდგომარეობით, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეყვანილია ინფორმაცია ყველა შესწავლილი ობიექტის შესახებ. შესწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, მათ პრივატიზაციაზე, გაზიფიცირებაზე, ელექტრომრიცხველების განმხოლოებაზე და იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში სამართლიანად აყენებს სახელისუფლებო უწყებების წინაშე. დაზუსტდა საცხოვრებელ ობიექტებში განსახლებულ დევნილთა რაოდენობა სოციალური კატეგორიების მიხედვით. წარმომადგენლობის სამსახურებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთი ჰუმანიტარულ აქციისა და კულტურულ ღონისძიების წარმატებით ჩატარებაში.
- ✓ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, წარმომადგენლობის მიერ, ჩატარებული იქნა დევნილებთან შეხვედრა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ კოოპერატივების შექმნით, რაზედაც მიეცათ ამომწურავი ინფორმაცია, ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათიანი პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით, ასევე, **3** აფხაზეთიდან დევნილს გაეწია დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნაში.
- ✓ საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობამ აფხაზეთიდან დევნილ **74** დევნილ ოჯახს გაუწია შუამადგომლობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის და აჭარის ტერიტორიული ორგანოს წინაშე, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებაზე, გარემონტებაზე და სოფლად სახლის შესყიდვასთან დაკავშირებით. ასევე 60-მდე ოჯახს გაეწია დახმარება აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებით.
- ✓ აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების წამოწევის მიზნით, წარმომადგენლობა ატარებს შეხვედრებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან, ასევე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (**18** შეხვედრა), სადაც განხილულ იქნა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სოციალურ-ეკონომიური და კრიმინალური მდგომარეობა.
- ✓ წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში არსებული პრობლემების მოგვარების მხრივ. აფხაზეთიდან დევნილ **15** პირს გაეწია შუამდგომლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე **500** ლარის ფარგლებში შესაძენი მედიკამენტების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, წარმომადგენლობის შუამდგომლობით, **12** აფხაზეთიდან დევნილ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს გაუწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულს **100-100** ლარის ოდენობით.
- ✓ წარმომადგენლობა პერიოდულად უწევს დახმარებას, ქალაქ ზუგდიდში, დევნილთა ჩასახლებაში, ლაღიძის ქუჩა №4 მცხოვრებ დევნილებს. შეძლებისდაგვარად, უზრუნველვყოფს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს სხვადასხვა სახის პირველადი მოხმარების საგნებითა და საკვები პროდუქტებით.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქალაქ ზუგდიდის მერიის დახმარებით, ქალაქ ზუგდიდში, ლაღიძის ქუჩა №4-ში მდებარე დევნილთა ჩასახლებაში დარგული იქნა **100** ძირი მარადმწვანე ხე.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ზუგდიდის მერიის დახმარებით, ქალაქ ზუგდიდში, ყოფილ რაიონულ საავადმყოფოში ჩასახლებულ დევნილებს გამოუყვეს და ადგილზე მიუტანეს 7მ^3 შეშა. კონკრეტულ ჩასახლებაში მცხოვრები ოჯახები ვერ იხდიდნენ ელექტროენერგიის გადასახადს, ამიტომ მათი უმრავლესობა გათბობის გარეშე ცხოვრობდა.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში მცხოვრებ, აფხაზეთიდან დევნილ ცაცუების 7 სულიან ოჯახს უსასყიდლოდ დაუმონტაჟდა ელექტროენერგიის მრიცხველი.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირში, ყოფილი ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის შენობაში მცხოვრებ, ხანძრის შედეგად დაზარალებულ აფხაზეთიდან დევნილების წინაშე (**ჩხაპელია ელდარის** და **ჭედიშვილი დავითის** ოჯახები), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ აიღო ვალდებულება, ორივე დაზარალებულ ოჯახს გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაუხადოს ბინის ქირა, ასევე გაუწიონ ფულადი დახმარება. წარმომადგენლობაც თავის მხრივ, დახმარებას გაუწევს დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერად ფულადი დახმარების სახით.
- ✓ წარმომადგენლობის ძალისხმევით, ქალაქ სენაკში, ყოფილი მე-3 არასრული სკოლა-ინტერნატის დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტში, შეკეთებული იქნა საკანალიზაციო სისტემა (ობიექტში ცხოვრობს **170**-მდე დევნილი ოჯახი).
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ პროექტ ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე“-ს ფარგლებში, სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებ, აფხაზეთის ომის მონაწილე **35** პირისთვის და უკიდურესად გაჭირვებაში მყოფ სოციალურად დაუცველ **30** ოჯახისთვის გამოყოფილი სააღდგომო საჩუქრები წარმომადგენლობამ გადასცა ბენეფიციარებს.

- ✓ წარმომადგენლობის მხრიდან, აფხაზეთიდან დევნილ კემულარიების მრავალშვილიან ოჯახს გაეწია შუამდგომლობა გაეროს უმაღლესი კომისარიატის ზუგდიდის ოფისის წინაშე და მათ გაეწიათ დახმარება **400** ლარის ოდენობით.
- ✓ წარმომადგენლობის თაოსნობით, ქალაქ ზუგდიდში, ლაღიძის ქუჩა №4 მდებარე დევნილთა ახალ ჩასახლებაში, ჩატარებული იქნა ტურნირი შაშში 15 წლამდე გოგონებსა (**24** ბავშვი) და ვაჟებს შორის (**16** ბავშვი), გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები და წარმომადგენლობის სიგელები.
- ✓ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს (**35** ოჯახი) გადასცა სხვადასხვა სახის საჩუქრები.
- ✓ წარმომადგენლობის ოფისში გაიმართა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯე"-ს წარმომადგენლებთან, რომლებმაც დააანონსეს ინფორმაცია, პროექტის ,,დამოუკიდებლობიდან თვითკმარობამდე-ინოვაციური ეფექტური საარსებო წყაროების გადაწყვეტილებები საქართველოსთვის" ფარგლებში ბენეფიციართა ჩართულობის შესახებ და წარმოადგინეს ის მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს აფხაზეთიდან დევნილებს, მცირე და საშუალო ბიზნესის სწორი განვითარებისთვის, აგრეთვე ისაუბრეს ახალ საგრანტო პროგრამებზე, სადაც დევნილი მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა იქნება ჩართული.
- ✓ 23 მაისს, ზუგდიდში მსვლელობით აღინიშნა სვიმონ კანანელის ხსენების დღე და „აფხაზეთობა". აქციაში მონაწილე სასულიერო პირებმა და მრევლმა წარმომადგენლობასთან ერთად მსვლელობა გაიმართა ქალაქიდან - მდინარე ენგურის ხიდის მიმართულებით, სადაც სამშვიდობო პარაკლისი აღევლინა. ღონიძიება გაგრძელდა ქ. ზუგდიდის საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც გამოფენილი იყო დევნილი ბავშვების ნახატები.
- ✓ წარმომადგენლობის ინიციატივით, დევნილთა საერთაშორისო დღეს, აფხაზეთიდან დევნილებისთვის (**24** პირი) ჩატარდა ტრენინგი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (თემა - სამოქალაქო სექტორის განვითარება).
- ✓ ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით, წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს მხარდაჭერით, აფხაზეთიდან დევნილ **200** ბავშვს გამოეყო სხვადასხვა სახის ტკბილეულობა და ნაყინი.
- ✓ წარმომადგენლობა აქტიურად მონაწილეობდა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და იაპონიის მთავრობის პროგრამის „GRASSROOT"-ის ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია „აგორა"-ს მიერ მოწყობილი სასათბურე მეურნეობის გახსნის პრეზენტაციაში.
- ✓ აფხაზეთიდან დევნილ **60**-მდე პირს წარმომადგენლობამ გაუწია დახმარება, როგორც საკვები პროდუქტებით, ასევე პირველადი მოხმარების ჰიგიენის საშუალებებით.

- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალაბასთუმანში მდებარე, ყოფილი ხორცკომბინატის დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტში (ცხოვრობს **40** ოჯახი) მთლიანად გაიწმინდა საკანალიზაციო მილი.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქალაქ ზუგდიდის მერიის კულტურის სამსახურის მხარდაჭერით, აფხაზეთის №12 საჯარო სკოლის მოსწავლეებს დაუფინანსდათ სატრანსპორტო ხარჯები ექსკურსიაზე გასამგზავრებლად ქალაქ მცხეთაში.
- ✓ ქალაქ სენაკში, აფხაზეთის №7 საჯარო სკოლაში ჩატარდა აფხაზურის ენის ღია გაკვეთილი, რომელშიც მონწილეობა მიიღო აფხაზეთის №1 საჯარო სკოლამ. აღნიშნულ ღონისძიებაზე მოსწავლეების ტრანსპორტირება და მათი ერთობლივი ექსკურიაზე (ნოქალაქევში) წაყვანის ორგანიზება უზრუნველყოფილი იქნა წარმომადგენლობის მიერ.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქალაქ ზუგდიდის მერიის კულტურის სამსახურის მხარდაჭერით, აფხაზეთის №1 და №11 საჯარო სკოლების მოსწავლეებს დაუფინანსდათ სატრანსპორტო ხარჯები ექსკურსიაზე გასამგზავრებლად ქალაქ ბათუმში.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობითა და ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს ძალისხმევით, ქალაქ ზუგდიდში, ხელაიას ქუჩა №3 მდებარე დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტს მოუწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა.
- ✓ წარმომადგენლობის ორგანიზებითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ძალისხმევით, აფხაზეთიდან დევნილებისათვის უფასო სამედიცინო შემოწმებები ჩატარდა (ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, წალენჯიხა და ჯვარი), რომლის ფარგლებშიც აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრომ დევნილებს უფასოდ გაუწია სხვადასხვა სახის ლაბორატორიული გამოკვლევები, კონსულტაციები და გადასცა მედიკამენტები.
- ✓ წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქალაქ ზუგდიდში მდებარე ყოფილი პროფსასწავლებლის ობიექტში, ადგილობრივი საკრებულოს დახმარებით ამოიტუმბა და გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა.
- ✓ 2016 წლის 27 სექტემბერს, წარმომადგენლობა აქტიურად მონაწილეობდა სოხუმის დაცემის დღისადმი და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის 23-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. კერძოდ,

<u>ფოთი</u>

- ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ჩატარდა აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი;
- ქ. ფოთის მერიის წარმომადგენლებთან ერთად მოეწყო მსვლელობა ნიკოლაძის ძეგლიდან ქ. ფოთის ნავსადგურამდე, რომლის დროსაც აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად მოხდა გვირგვინების ჩაშვება ზღვაში;

- ახალ რაიონში აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალის გვირგვინით შეიმკო;

ხობი

•ხობის სამების სახელობის ტაძარში ჩატარდა აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი;

• ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აფხაზეთის ომში დაღულთა ოჯახებს საჩუქრად გადასცა **200-200** ლარი (**19** ოჯახი).

სენაკი

•ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ომის ამსახველი ფოტომასალის გამოფენა და ვიდეომასალის ჩვენება.

• ჟიული შარტავას სახელობის ახალგაზრდობის ხეივანში, მოეწყო ჟიული შარტავას ბიუსტისა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის სკვერში, გენო ადამიას, გურამ გაბისკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტების შემკობა.

•იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში ჩატარდა აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

• მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა, ცენტრთან არსებულ თეატრ ,,ფოროსმანის'' სპექტაკლის ,,ჯვარცმული ბედნიერება'' ჩვენება (რეჟისორი - ვეფხვია გორგოძე).

•საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემატიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურის და პერიოდული პრესის გამოფენა.

აბაშა

•აბაშის 1 საჯარო სკოლაში მოსწავლეები (**40** ბავშვი) დაესწრნენ დოკუმენტური ფილმის ჩვენებას ,,ქართულ - აფხაზური კონფლიქტი", რომლის ჩვენების შემდეგ მოხდა ფილმის განხილვა და ბავშვებს მიეცათ შესაძლებლობა შთაბეჭდილების გაზიარებისა.

ჩალენჯიხა

•26 სექტემბერს დაბა ჯვარის კლუბის შენობაში, ადგილობრივმა თვითმმართველობამ ჩაატარა 27 სექტემბრისადმი მიძღვნილ ღონისძიება;

•27 სექტემბერს, ჯვარში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ჩატარდა აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი;

•წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს საჩუქრად გადასცა **100-100** ლარი (**6** ოჯახი).

<u>მარტვილი</u>

•26 სეტემბერს, მარტვილის თეატრში ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკლი.

•მარტვილის ადგილობრივმა თვითმართველობამ იქ მცხოვრებ დევნილ ომის ვეტერანებს გადასცა ფულადი საჩუქარი **100-100** ლარის ოდენობით (**8** პირი).

<u>ზუგდიდი</u>

•27 სექტემბერს, ქ. ზუგდიდის მერიის ინიციატივით, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის დაცემის დღეს.

•ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცეტრის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავდა მოზარდებში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, ლიდერული და გუნდური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია აფხაზეთიდან დევნილი 14-18 წლამდე ასაკის **19** ბავშვის დასწრებას.

•აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთში განხორციელებული, მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის-გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღესთან დაკავშირებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ 2016 წლის 5 ოქტომბერს, ქალაქ ზუგდიდში მაცხოვრის კარის სახელობის ეკლესიაში გენოციდის მსხვერპლთა მოსახსენიებელი პანაშვიდის გადაიხადა. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთიდან დევნილები და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები.

•წარმომადგენლობის შუამდგომლობით, აფხაზეთიდან დევნილი **6** პირი დასაქმდა დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე.

•წარმომადგენლობის შუამდგომლობით, ქალაქ ზუგდიდის მერიის მიერ აფხაზეთიდან დევნილ **50** ბავშვს გადაეცა საახალწლო საჩუქრები.

•წარმომადგენლობა აქტიურად მონაწილეობდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი საახალწლო საჩუქრების დარიგებაში, რომელიც რეგიონის მასშტაბით, **420** ოჯახს გადაეცა.

•წარმომადგენლობის თანამშრომლებმა, საკუთარი ხარჯებით, აფხაზეთიდან დევნილ უკიდურესად გაჭირვებულ **45** ოჯახს გადასცა საახალწლო საჩუქრები.

• გრძელდება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების დაფიქსირება და ინფორმაციის დროულად მიწოდება შესაბამის ორგანოებისთვის.

- ✓ საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია **902**, ხოლო გასულია **981** კორესპოდენცია; სულ დარეგისტრირდა მოქალაქეთა **417** განცხადება;

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

- ✓ წარმომადგენლობის სპეციალისტების მხრიდან, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ **80**-მდე დევნილ მოქალაქეს გაეწია სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (დაბადების მოწმობის აღდგენა, სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა და სხვა, ქონების რეგისტრაცია, მიწის ლეგალიზება და სხვა).
- ✓ დევნილთა აღრიცხვისა და ანალიტიკური განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, წვევამდელებისა და რეზერვისტების, სოციალურად დაუცველი ფენის (მარტოხელები, ობოლი ბავშვები, ომის ინვალიდები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახის წევრები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, მრავალშვილიანი ოჯახები) შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის პერიოდულ განახლება, ასევე, ,,დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიაზე'' შემოსულ განცხადებათა კატეგორიების მიხედვით დახარისხების ხელშეწყობა.
- ✓ საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთობლივად, შესწავლილ იქნა ქ. თბილისში განთავსებული **600** ობიექტი. შესწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, საცხოვრებლად ვარგისიანობაზე მათ პრივატიზაციაზე, პრივატიზებული ბინების რაოდენობაზე, საერთო ფართზე, გაზიფიცირებაზე, ელექტრომრიცხველების განმხოლოებაზე, პრივატიზებულ საცხოვრებლებში ამხანაგობების შექმნაზე და იმ პრობლემურ საკითხებზე რომლებსაც მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში სამართლიანად აყენებს უწყებების წინაშე.

- ✓ ფაქტიურად უკიდურესად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში უხდებათ ცხოვრება შემდეგ კოლექტიური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას: **ბორჯომში** - სანატორიუმი ,,ბორჯომი'', სანატორიუმი ,,ლიკანი -2'', სანატორიუმი ,,ლიკანი -3''. როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტში განგვიცხადეს **სოფელ ვაშლოვანში** რემონტდება ყოფილი საავადმყოფოს შენობა, სადაც შესახლებული იქნებიან აღნიშნული სანატორიუმებიდან დევნილთა ნაწილი. **ხაშურის რაიონი** - სანატორიუმი ,,სურამი'', სანატორიუმი ,,მზიური''. ხაშურის რაიონში მე-3 კვარტალში უნდა დასრულებულიყო რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციის პროცესი, სადაც შესახლებულნი იქნებიან ოჯახები აღნიშნული სანატორიუმებიდან, მაგრამ ტენდერი ჩაიშალა და იგეგმება ახალი ტენდერის გამოცხადება. **მცხეთის რაიონი, ცხვარიჭამია** - ყოფილი დასასვენებელი სახლი ,,სიჭაბუკე''. **ქ. რუსთავი** - მე-11 მ/რ ,,ქიმბოჭკოს'' ს/ს, დ. გარეჯის N21 ,,აზოტის'' ს/ს. **ბოლნისის რაიონი**, ქვედა ბოლნისის ბაგა/ბაღის შენობა, **დაბა კაზრეთი** 25-ე პროფესიული საცხოვრებლის ს/ს, მადნეულის ს/ს. დევნილებს შეავსებინეს აპლიკაცია და მიმდინარეობს მათთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების შესყიდვა. **მარნეულის რაიონის** N1 სამხედრო ქალაქი, ობიექტი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე და იგეგმება იქ მცხოვრები დევნილი ოჯახების გამოსახლება, რომელნიც შესახლებულნი იქნებიან მშენებარე ცხრა სართულიან კორპუსში. 5 ოჯახი შენობაში შეიჭრა თვითნებურად, ამჟამად მიმდინარეობს მათთან მოლაპარაკება და განსახლების პროცესის საკანონმდებლო სივრცეში მოქცევა. კორპუსის ექსპლუატაციაში გადაცემა და დევნილთა შესახლება იგეგმება მიმდინარე წელს. **წალკის რაიონში** კერძო სექტორში განსახლებულია 77 ოჯახი, რომელნიც ითხოვენ იანძის N28-ში განთავსებული შენობის რეაბილიტაციას და მათთვის გადაცემას, ვინაიდან პრობლემები ექმნებათ მათი საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებთან, კერძოდ კი ბერძენი ეროვნების მოსახლეობასთან. ეს საკითხი მუსირებს წლების მანძილზე და მოსაგვარებელია. მიუხედავად საცხოვრებელი ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემისა, ხელისუფლებისაგან მეტ ყურადღებას ითხოვენ **გურჯაანის რაიონის** სოფელ ბაკურციხეში, **თელავის** ე.წ. გვარდიის შენობაში, **მცხეთის რაიონის** ყოფილ ტურბაზაში და დასასვენებელ სახლ ,,ბაზალეთში''.
- ✓ 2016 წლის იანვრისა და აპრილის თვეში, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა და თანამშრომელთა ჯგუფი, იმყოფებოდა მცხეთა-თიანეთის რეგიონში, იქ განსახლებული აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით. შეხვედრის შემდგომ, შეთანხმებისამებრ, მცხეთის მუნიციპალიტეტის იმ თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც დაკავებულნი არიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის დევნილთა) სოციალური საკითხებით, ადგილებზე იქნა შესწავლილ კოლექტიური ჩასახლების ობიექტების მდგომარეობა და მათში მცხოვრებთა სოციალური პირობები. დევნილი მოსახლეობის გარკვეული, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფი დაკმაყოფილდა **100** ლარიანი ფულადი დახმარებით. მიუხედავად, მცხეთა-თიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციისა და

თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან დევნილი მოსახლეობის მიმართ გამოხატული ყურადღებისა და თანადგომისა, კომპაქტური ჩასახლების ობიექტების ზოგადი შესწავლისა (დათვალიერებისა) და იქ მცხოვრებ დევნილებთან უშუალო შეხვედრის შედეგად, გამოიკვეთა კონკრეტული სახის პრობლემები, (დევნილთა უმუშევრობა და მძიმე სოციალური მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების სურვილი (ფართების პრივატიზება ან ალტერნატიული შეთავაზება, საცხოვრებელი ობიექტების (ბინების) კეთილმოწყობა, საცხოვრებელი ფართების სულადობის მიხედვით გადანაწილება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაცემა/დაკანონება), რომელთა მოგვარებაც აუცილებელია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად წარმომადგენლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა ძალისხმევისა, დადებითად ვერ გადაწყდა მცხეთაში განსახლებულ დევნილთათვის წყლის გადასახადის დაფარვის ეტაპობრივი გრაფიკის შედგენა-დამტკიცება, ასევე ელექტროენერგიის გადასახადის ვადის გაგრძელება თვის ბოლო რიცხვებამდე, ვინაიდან ეს კომპანიები ემორჩილებიან სემეკის მიერ დაწესებულ სტანდარტებს. ჭიანურდება ტერიტორიის გამოყოფის საკითხი, რომელზედაც აშენებული იქნება საცხოვრებელი სახლი დევნილთათვის, მოსახლეობა ითხოვდა შეხვედრას აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით, დევნილთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. შეხვედრა შედგა მიმდინარე წლის ივლისის თვეში და მიღწეულია შეთანხმება რომელიც დააკმაყოფილებს დევნილ მოსახლეობას.

- ✓ საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობის მხრიდან, **87** დევნილს გაეწია კონსულტაციები სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე, არაერთ დევნილ სტუდენტს გაეწია შუამდგომლობა სწავლის (სტუდენტის სტატუსის) აღდგენის, საფასურის გადანაწილებისა და სხვა მათთვის საჭირო პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, წარმომადგენლობის მიერ, **28** დევნილს გაეწია სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის, მისი ორგანიზებისა და ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროში, საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათიანი პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით, როგორც ქ. თბილისში, ასევე ბორჯომში, გორში, თელავში, გარდაბანში, მარნეულსა და ბოლნისში.
- ✓ წარმომადგენლობის სპეციალისტებმა, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლის რეგიონებში განსახლებულ დევნილებს გააცნეს, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საარსებო წყაროების ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა.
- ✓ წარმომადგენლობის შესაბამისი სამსახურები აქტიურად არიან ჩართულნი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევის (საჭირო მედიკამენტების უსასყიდლოდ გადაცემა) პროგრამის განხორციელებაში, როგორც ქ. თბილისში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს

ყველა რეგიონში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღნიშნული აქციები განხორციელდა **საგარეჯოს**, **გურჯაანის**, **მარნეულის**, **გარდაბნის** მუნიციპალიტეტებში.

- ✓ წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა და სპეციალისტები იმყოფებოდნენ ვაზიანის სამხედრო დასახლებაში, სადაც შესწავლილ იქნა იქ განსახლებული დევნილი მოსახლეობის პრობლემები, ასევე, მონაწილეობა მიიღეს მინი საგალანტერიო ფაბრიკის გახსნაში, სადაც დასაქმებულია **25** დევნილი. ფაბრიკის მიერ წარმოებული პროდუქცია, ჰუმანიტარული დახმარების სახით, გადაეცა აფხაზეთის ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს.
- ✓ მიმდინარე აქციის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე'' ფარგლებში და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, **500**-მდე ბენეფიციარს სოციალური კატეგორიების მიხედვით გადაეცათ სააღდგომო ნობათი. აქციის განხორციელებაში ჩართული იყვნენ სამთავრობო სტრუქტურები, მათ შორის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა და სპეციალისტები.
- ✓ წარმომადგენლობის სპეციალისტების მიერ დარგული იქნა **200**-ზე მეტი მარადმწვანე და ფოთლოვანი ხემცენარე დევნილთა კოლექტიური ჩასახლების **3** ობიექტში, მიმდინარეობს მათი მოვლა-გახარების სამუშაოები.
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით და წარმომადგენლობის ორგანიზებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, სოფ. ბადიაურში გახსნილ იქნა აფხაზეთის კონფლიქტში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მემორიალი.
- ✓ წარმომადგენლობის სპეციალისტებმა, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში განსახლებული დევნილი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გაუწიეს კონსულტაციები, ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საარსებო წყაროების ინიციატივების მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში.
- ✓ დეკემბრის თვეში, ქ. რუსთავსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობის მხარდაჭერით (პროგრამაში დევნილთა ჩართულობის ორგანიზება), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამა.
- ✓ აქციის ,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე'' ფარგლებში და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, 500-მდე ბენეფიციარს სოციალური კატეგორიების მიხედვით გადაეცათ სააღდგომო ნობათი, აქციის განხორციელებაში ჩართული იყვნენ სამთავრობო სტრუქტურები, მათ შორის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა და სპეციალისტები.
- ✓ საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია **1772**, ხოლო გასულია **1518** კორესპოდენცია.

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

საანგარიშო პერიოდში აჟარის მუნიციპალიტეტთან ერთობლივად აფხაზეთიდან დევნილთათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

❖ **ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება**

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე **123** ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ ქირურგიული ოპერაციისა და მასთან დაკავშირებული მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები დაუფინანსდა **69** ბენეფიციარს;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე **2** პირს გადაეცა სპეციალური სავარძელი (ეტლი);
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **2** პირისთვის შეძენილ იქნა სპეციალური სამედიცინო მოწყობილობა (ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი);
- ✓ ონკოლოგიურად დაავადებულ **14** ბენეფიციარს დაუფინანსდა მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების ღირებულება;
- ✓ განსაკუთრებულ პირობებსა და გადაუდებელ შემთხვევაში, **10** წლამდე ასაკის **2** ბენეფიციარს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურების (სარეაბილიტაციო პროცედურები) ხარჯები;
- ✓ 1992 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში საომარი მოქმედებებისა და სამხედრო დავალების შესრულების დროს მიღებული მძიმე ტრავმის შედეგად დაინვალიდებულ **6** ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება.

❖ **ხანდაზმულთა სოციალური დაცვა**

- ✓ **70** მარტოხელა პენსიონერს გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ **116** ხანდაზმულ (80 წელს გადაცილებულ) ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ **100** წელს გადაცილებულ **2** ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება.

❖ **ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა**

- ✓ **32** მარჩენალდაკარგულ ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ **5** მარტოხელა მშობელს (მარტოხელა დედა) გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ შვილის (მე-3 და მეტი შვილის) შეძენასთან დაკავშირებით, **17** ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ **139** მრავალშვილიან ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ დედ-მამით ობოლ (0-18 წლამდე) ასაკის **2** ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება;
- ✓ **75** პირველკლასელს გადაეცა სასკოლო ჩანთა (ერთი ჩანთა -**30** ლარი);
- ✓ 1999-2016 წლებში დაბადებულ **1110** ბავშვს **574** ოჯახიდან გადაეცათ საახალწლო საჩუქარი, სასაქონლე ნაკრები - პაკეტები.

❖ **ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა**

- ✓ ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა **22** ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება.

❖ **სოციალური დახმარებები**

- ✓ **7** ოჯახს დაუფინანსდა ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების **14** სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის საფასური;
- ✓ მაგისტრატურის **1** და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი პროგრამის **4** სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის საფასური;
- ✓ კულტურის სფეროში წარჩინებულ **2** ახალგაზრდას დაუფინანსდა სწავლის საფასური;
- ✓ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ **311** ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- ✓ **10** ოჯახს გადაეცა სახლის გადასახური მასალა (**536** ცალი თუნუქის გოფრირებული ფურცელი);
- ✓ **25** ოჯახს გადაეცა გაზის გამათბობელი.

❖ **დევნილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება**

- ✓ დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები ნაწილობრივ აუნაზღაურდა **28** ოჯახს;
- ✓ ხანძრის დროს დაზარალებულ **1** ოჯახს გაეწია სოციალური დახმარება.

❖ **კულტურული ღონისძიებები**

- ✓ 1992-1993 და 2008 წლების საომარი მოვლენებისადმი მიძღვნილი აქციის ფარგლებში, აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, მიმდინარე წლის 16 მარტს, 27 სექტემბერს, 08 აგვისტოს თანამშრომლების მიერ გმირთა მემორიალი (ქ. თბილისი, გმირთა მოედანი, მუხათგვერდი) შემკობილ იქნა გვირგვინით;
- ✓ მიმდინარე წლის 18 მარტს, საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2016“-ის ფარგლებში, ჩატარდა „კოდორის ხეობის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსი. გამარჯვებულმა ა.წ. 21 მაისს მონაწილეობა მიიღო „2015-2016წ. საქართველოს ეტალონი მოსწავლის“ კონკურსში. მას საჩუქრად გადაეცა პლანშეტური კომპიუტერი;
- ✓ მიმდინარე წლის 26 მარტს, ჩატარდა ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი - „ერუდიტ“-ის შესარჩევი ეტაპი. შერჩეულმა **15** მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ფინალურ ტურში. პირველ სამ ადგილზე გასული დაჯილდოვდა პლანშეტური კომპიუტერებით, სხვები კი - წიგნებით;
- ✓ 2016 წლის 14 აპრილს „დედა ენის დღე“-სთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზემო აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა. მათ საჩუქრად გადაეცათ წიგნები;
- ✓ 2016 წლის 09 აპრილს და 19 ნოემბერს, გასართობი ღონისძიებების ფარგლებში, ზემო აფხაზეთიდან დევნილი **300** ბავშვი წაყვანილ იქნა ცირკში, სადაც ისინი დაესწრნენ საცირკო წარმოდგენას „გეპარდების სამეფო“;
- ✓ 30 მაისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზემო აფხაზეთიდან დევნილი **100** ბავშვი წაყვანილ იქნა მთაწმინდის პარკში;
- ✓ 31 მაისს და 30 სექტემბერს ზემო აფხაზეთიდან დევნილი **100** ბავშვი წაყვანილ იქნა სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც დაესწრნენ სპექტაკლების ჩვენებას;
- ✓ 2016 წლის 30 ივნისს ა(ა)იპ „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის კულტურის ცენტრ“-თან არსებულმა ანსამბლ „დალი“-ს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საბავშვო ფესტივალში;

- ✓ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის კულტურის ცენტრის აღსაზრდელებისათვის შეძენილ იქნა ძველი ქართული სიმებიანი საკრავი - ჭუნირი.

❖ **სპორტული ღონისძიებები**

- ✓ 5 მარტს, გაიმართა "ზემო აფხაზეთის გარდამავალი თასი"-ს გათამაშება ფეხბურთში. ტურნირის გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილის მფლობელებს გადაეცათ გარდამავალი თასი, მედლები და სიგელები;
- ✓ ა(ა)იპ "აჟარის სპორტული სკოლის საფეხბურთო გუნდების სწავლებისათვის და სავარჯიშოდ შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი და სპორტული ტანსაცმელი;
- ✓ აჟარის სპორტული სკოლის ძიუდოს სპორტსმენების სწავლებისათვის და სავარჯიშოდ შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი და სპორტული ტანსაცმელი;
- ✓ 2016 წლის 21-30 ივლისს ა(ა)იპ აჟარის სპორტული სკოლის თავისუფალი ჭიდაობის სექციის მოსწავლე-ახალგაზრდებმა დუშეთის მუნიციპალიტეტის ს. ქვეშეთში ერთობლივი ყოველდღიური ვარჯიშები გამართეს ფასანაურის გუნდთან;
- ✓ 2016 წლის 22-23 ივლისს და 10-11 აგვისტოს, შესაბამისად ქუთაისში და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა ლაშქრობები განახორციელეს რაჭაში (შოვი), ბუბას ნამონასტრალისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: წოდორეთი, ბევრეთი, დედათა მონასტერი (წმინდა თეკლას სავანე) მიმართულებით;
- ✓ 2016 წლის 26 ივლისიდან 04 აგვისტოს ჩათვლით ა(ა)იპ აჟარის სპორტსკოლის საფეხბურთო გუნდი ,,კოდორი" წაყვანილ იქნა სპორტულ - მოსამზადებელ და გამაჯანსაღებელ შეკრებაზე ს. გონიოში სადაც მონაწილეობა მიიღო ამხანაგურ საფეხბურთო ტურნირში;
- ✓ 2016 წლის 17 დეკემბერს ა(ა)იპ აჟარის სპორტსკოლის თავისუფალი სტილის ჭიდაობის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ქ. საგარეჯოში გამართულ ჭიდაობის ტურნირში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი, თავის კომპეტენციის ფარგლებში, სისტემატურად უწევს დახმარებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებს, როგორც ზემდგომი ორგანოების მიერ გაცემული დავალებების, ასევე მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების დროულ შესრულებასთან დაკავშირებით და პერიოდულად ატარებს მათი საქმიანობის მონიტორინგს.